



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაფხუთი. ზამთრის ყოველ კვირადღეს.

№ 4

იანვარი, 21 1896 წ.

№ 4

შინაარსი: ცხოვრება და მწერლობა, ფანსი.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—ჩვენი სახიობა.—* ღმერთი მგერელისა.—სიფელი და სასიფელი შეოლა (გაგრძელება); საზღვარ-გარეულისა.—წაღად-ღოსის გამო, დუტუ მგერელისა.—მოკლე მასენი გრძელ ლანძღვაზე, ან. წ—ისა.—კვირიდნ კვირამდე, გრ—ოლ—იქი.—ბიბლიოკრაფია: ღმერთის დაყენება, შედგენილი პროფ. ვ. პეტრიასუილის მიერ.—საქველ-მოქმედო საქმე.—კერძო და ქუთაისის ბანკის განცხადებები.—

ცხოვრება და მწერლობა.


ქველსაგან მიღებული და აღსაჩებულია, რომ მწერლობა შესამჩნევსა და აუცილებელ ძალას წარმოადგენს ერის ცხოვრებაში, მწერლობა ზრდის და წრთენის ერის ცნობიერებას, აუზიზღებს მის გონებას, აუაქიზებს მის გრძობას ღ უღვიძებს მის სამგრმისო, სამარადისო ზრახვათა და მისწრაფებათ. მწერლობა მტკიცეთ ღ ღრმათ არკვევს ცხოვრების რთულ ვითარებას, იძიებს პირობათ, რომელშიც თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობას ერთ ჩაუყენებია, და, ამ პირობათა შესაფერათ, საზოგადოებას მიუთითებს ხოლმე ამა თუ იმა საშუალებაზე, რომელიც ერს მტკიცე წიადაგზე აყენებს, მას წინ ეწყევა და სასურველ



ღმერთის მშობელი და იქ მისი იესო.

მომავლის უახლოვებს. ასეთი მწერლობა ყოველგან და ყოველთვის მოწონებული და ქებულია. მის ყოველ სიტყვას, ყოველგვარ რჩევას საზოგადოება თვალყურს ადევნებს გაფაციცებით, გამუღმებით. საზოგადოებაც ამ მწერლობით თქირობს, აზროვნებს და მოქმედებს.

ასე დაკავშირებული, შეზღდილი და შეზორცებულია მწერლობა ცხოვრებასა ღ საზოგადოებასთან. ეს დაკავშირება და ერთსულობა კი იმის შედეგია, რომ მწერლობა გამუღმებით თავს დატრიალებს ცხოვრებისა და ერის ჭირსა და ვარამს, ყოველთვის თვალ წინ უღდას მისი ნამდვილი და უტყუარი ინტერესი, სარგებლობა, ანუ ფსიხოლოგიური ერთ რომ ეთქვას, მწერლობას საზრუნველათ ექვს ერის ქე-



შმარიტი მოთხოვნილებანი. აი, ასეთი მწერლობა უნდადავო და უსულო მქადაგებელს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი ძლიერი მესვეურია ერისა, ცოცხალი და ფიზიკური ძალაა ცხოვრებისა.

ოკდაათი, ორმოცი წელი იქნება, რაც ჩვენი მწერლობა გამოირკვა, მაგრამ მტკიცე კავშირი მწერლობასა და საზოგადოებას შორის ჯერ მინც არ არსებობს, არა ჩანს, ჩვენი მწერლობა, თითქო მგეტი ბარგიაო, ასეა თავისთვის, მიტოვებული, მივიწყებული; ცხოვრება და საზოგადოება თავის გზაზე მიდის. მომდინარეობს ჩუმით და მწერლობას არც თვალსა და არც ყურს არ აღვნიშნებ. აი, სამწუხარო ფაქტი, რომლის დამნაშაველი დღეს ყველა ჩვენივანია. რათ არის ეს ასე? სად არის მიზეზი ასეთი სავალალო მოვლენისა?..

აი, ფრიად საუფლისხმო საკითხი, რომელიც გამორკვეული და ახსნილი უნდა იქნეს, თუ გვსურს, რომ ეს არა სასურველი და სამარცხენო ვითარება თავიდან ავიცილოთ, ჩვენმა მწერლობამ მიზამებით აიღვა ფეხი. იგი მაშინ სრულებით მოკლებული იყო დამოუკიდებლობასა და თავისებურებას. ამისათვის მას არც ძალი და არც შესაღწერი მომხალეობა არ შეჰქვამდა და გარეშე ვარემოება კი ხელს არ უწყობდა. ამიტომ რაც შეუძლებელი იყო, ის რომ მოგვეთხოვა, — ეს ხომ მეტის მეტი ახივებულება და ჰირეულება იქნებოდა. ჩვენი მწერლობისათვის ისიც დიდი იყო, რომ მან დროს ალიო აუღო და ბანი მისცა სხვას*) ისეთი განწყობილებისა და ცხოვრების ვითარების საწინააღმდეგოთ, რომელიც

ერს ყოველ გეგმათ ამცობებდა. აი, ამ ვარემოებაში ხელი შეუწყო, რომ ჩვენმა მწერლობამ საზოგადოების თვალში სახელი და პატივისცემა მოიხვეჭა. მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რომ დიდებული საქმე მსერულეებულ იქნა და ერისათვის სამარცხენო უღელი დამსხვრეული — ბატონ-ყმობა მოისპო. მწერლობისათვის სწორეთ ეს ვარემოება შეიქნა იმ ფორმათ, რომელიც ერთვან აღჩობის. ამას შემდეგ მართლაც ნიადაგი დაჰყარა ჩვენმა მწერლობამ და საზოგადოებამაც მას ზურგი შეაქცია. რატომ მოხდა ეს ასე?

ჩვენი ერის ცხოვრება ახალი ვითარების გზას დაადგა. ბატონი ყოველად უმწეო შეიქნა. ერცული საუკუნოების განმავლობაში იგი დაჩვეული იყო, რომ მისთვის ყმას მიეგელო და ესაზღოვებინა. დღეს კი მამე შევეჩა თავის თავი საზრუნველი. ამის მიხალწევით კი მას არა ჰქონდა არაფერი — არც შრომის სიყვარული, არც მომჭირნეობისა და თავდარიგის გრძნობა და არც დროისა და ვარემოების შესაფერი ცოდნა. ამას ისიც მიუმატეთ, რომ მას ამ მოულოდნელმა ქარტახილმა უფრო მეტი მედიდერება და დაუნდობლობა აგრძნობა, ასეთ ვარემოებაში ჩაყენებულს: მიწა წყალი მიუგდეს და უთხრეს, ეს შენია, შენვე დაამუშავე ზე თავი ისე გამოიკვებო, აი სწორეთ დაცინება, თუ გინდა, ეს არის! დაჭრილ ლომს კლანჭებით მოაკეცე, მერმე გაუშვი და უთხარი: წადი, საზღო-საკეები მოიპოვეო? ყმამაც უფრო უარეს მდგომარეობაში ამოყო თავი. მართალია, გაათავისუფლეს, ბატონს მოაშორეს, მაგრამ მიწა დასამუშავებელი, ურომლისათ მას არც ერთ დღეს ცხოვრება არ შეუძლია, არ მისცეს, რა ექნა და რა უნდა ეფიქრა? მას, გუშინდელ ყმას, ხელში გაუხსნეს, მაგრამ სამოქმედო და სამუშევაი კი არა მიანიჭეს რა. ის კი არა, უარესიც უყუეს: სხვა-დასხვა ვეარი სახელმწიფო ვადასახალი თავს მოაჩვიეს.

აი, ასეთ გამოურკვეველსა და აუტანელ ვითარებაში ამყო თავი ბატონმაც და ყმამაც. ხოლო მესამე კი შორო-ახლოს იღვა და ჩუმად გუნებაში ხიზითებდა, რადგან იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ ორივე უნუგეშო და უშეწეო მისი ლუკმა იქნებოდა. ეინ იყო ეს მესამე, აქამდინ უმინშენლო? ეს მესამე ვეარი, აღბე-მამცემი და მრეწველი იყო. რადგან მოქმედებისა და შრომის ასაჩივნი, როგორც ბატონისათვის ისე ყმისათვისაც სოფელი იყო, მესამესათვის კი ჰაღაჰი, ამიტომ, სხვანაირათ რომ ეთქვით, ის, ეინც ჩუმად გუნებაში ხიზითებდა, იყო ჰაღაჰი, გულსკლავისა და გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაყენებული კი — სოფელი.

*) ასე მიტომ ვამბობთ, რომ ვითაც ბატონ-ყმობის ვაჟრასუ ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში ანაკის თავის თავით არ გამოუწყვია. ეს რომ მართალია არ იყოს, მაშინ ჩვენს მწერლობას ვრცელი ეკონომიკური და იურიდიული გამოკვლევა უნდა ჰქონოდა, რომლის სსუფლებით ეკლასათის ცხად უნდა ყოო ბატონ ყმობის სისამაღე. მაგრამ, როგორც ვიცით, არც ერთი ასეთი ნაშრომი ჩვენს მწერლობას არ მოჰქონება. მაშინ მხოლოთ პოეტები ვარელებდენ ორიოდე სიტყუას საზოგადოებაში ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მაგრამ პოეტები საზოგადოების მხოლოთ გრძნობაზე მოქმედებდენ და არ ვარებასა და მოსაზრებაზე, ასე რომ ჩვენში ბატონ-ყმობის მოსპობას გრძნობას შედეგა იყო და არა რომა რუმუნებისა და მოქალაქეობრივი სიმტკიცისა და ვინ იღის, რომ, თუ არ სსეისი ძაღდატანება, იქნება ეს სამარცხენო უღელი დღესაც ვისერსუ ტეგეშოდა!

სხვა-და-სხვა ამბები

მ ღლებში იყერიამ! გვაუწყა აკაკის ავად-
მყოფობა. როგორც ვატყობინებენ ხარკო-
ვიდან ჩენი საყვარელი პოეტი უკეთ არის.

მთავარ-მართებლის საბჭოში ამ ღლებში დანი-
შნული იყო განსახილველათ შემდეგი საგნები: და
არსდეს ერთი სამეურნეო სამსწავლებლო სემინარია,
რომელშიაც სწავლა დამთავრებულნი მასწავლებ-
ლათ იქნებიან იმ წინ მელენინოვის სკოლებისა,
რომელთა გახსნა მთავრობას ვანუზრახავს. აგრეთვე
ვახსნეს ლენინის დაყენების შკოლა, და ქუთაისის სა-
მეურნეო შკოლაც გადაკეთდეს მელენინოვის შკო-
ლათ.

მთავრობას რამოდენიმე თანხა ვადაუდვია, რომ
ქ. სონხმის წაით-სადგურა შესაფერათ მოაწყოს და
გააუმჯობესოს.

აქამდინ საფილოქსერო დასს საქირა ხარჯს ხა-
ზანა აძლევდა, ახლა კი მართებლობას ვადაუწყე-
ტია ეს ხარჯი ევნახის მებატრონებს აკისრებოს.

საყურადღებო ამბები.

„კავკასიური საღამო“ ჟურნალი.

მეგზობის 25 კავკაში გამართულ იქმნა კავ-
კასიური საღამო, რომლის წმინდა შემოსა-
ვალი დანიშნული იყო ქუთაისისა და თფი-
ლისის გუბერნიებში წყალ-ღრღობისაგან დაზარალე-
ბულთა სასარგებლოთ, საღამო გამართული იყო
კავკაისის ქალაქის საკრებულოში*, რომელიც ელექ-
ტრონიტ გენათებით და აღმოსავლეთის გემოვნე-
ბაზე მოერთოთ. ერთი კარგა გრძელი ტოლანი მზა-
რთული იყო ხალ-ფარდაგებით. ტოლანის ერთი მზა-
რე სავსე იყო სხვა-და-სხვა ძველი იარაღებით (რო-
მელიც ეთხოვებია თავ. არ. გ. ჭავჭავაძეს); თოვებ-
ითი, დამარებით, ხმლებით, ხანჯლებითა და სხვ.
მერმე ეწყია სამუსიკო საკრებები: დარია, ნალარა,
ჩონგურ, თაჩი, ქიანურა და სხვ. ერთი სიტყვით,
იქ იყო ყველა ის იარაღები და საკრავები, რომლებ-

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო დავით სარაჯი-
შვილისაგან, სოლომონ ტუსიშვილისაგან და დარის-
პან ხელიასაგან ეურნალის წლიური ფასი, რომ
რედაქციამ უზუნუნოს რომელსამე ღარბ შკოლას ან
სამკითხველოს. რედაქციამ გადაწყვიტა ვაუზუნუნოს
ოზურეთის, სოფ. ასკანის სამკითხველოს, თელავს,
სოფ. აწყურის შკოლას, და სოფ. ნიგოთის შკო-
ლას.

წრეულს მორიგი საბანკო კრება მოხდება აბ-
რილის დამდევს.

რედაქციამ მიიღო დეკანოზ დავით ლამბა-
შვილის გამოცემული ამ წლის სასულიერო და საერო
ნახატებიანი კალენდარი. წიგნის ბოლოში ჩართუ-
ლია სხვა-და-სხვა ხალხთა ტაბეტი, ჩენი წმინდანე-
ბის ნახატები და სხვანებული ტაბეტი შეტანილუ-
თათ და შროიანთ არის დაბეჭდილი.

ჩენ შეეიტყეთ, რომ ჩენი დაუღალავი მშრო-
მელი ზაქარია კიკინაძე რომლის ავადმყოფობაც
„იყერიამში“ იყო გამოცხადებული ეხლა უკეთ
არის.

ბიკ ინმარებიანი კავკასიაში; მეორე მხარეს კი ჩა-
მოკიდებული იყო სურათები კავკასიის სხვა-და-სხვა
ერის ტაბებისა. -- შეენიერი რომ იყო ხელოვნუ-
რათ გამართული გამოქვაბული ტინი. გამოქვაბუ-
ლი წარმოადგენდა გადმოხურულ მთას ძირს, შიგ
ამოხუნხუნებდა შადრევანი წითელი ლენინას, იქვე
მჩანდა ჩენენი, რომელსაც ხელში გრძელი თოფი
ეკარა და ეპარებოდა მახლობლათ მშოლიარე ეფეხს.
გამართული იყო აგრეთვე ქართული ლუქანი* რუ-
სული წარწერით, რომელიც შეტვირთებით იყო სავ-
სე, რასაკვირველია, ვაზებ. უკრავდა მუსიკა, საზან-
დარები იყვენ სამხები და თათრები; ამიტომ შო-
ლოთ სიმშურათა და თათრულათ მღეროდენ.
ქართული სიმღერები კი, სამწუნაროთ, არ ისმოდა,
რასაკვირველია, იმიტომ, რომ არ იცოდენ. „სალა-
მას“ გავეთ, სხვათა შორის ერთ თელსანირო ნაკ-
ლულენენათ უნდა ჩათვალათ, რომ „სალამოს“
პროგრამაში არ შეიცავდა არც სიმღერებს, არც ლექსებ-
სა და არც მუნდოვან სურათებს კავკასიის ცხარე-
ბისსა და, ამიტომ, არცა ჭავდა სატატო ქალაქებ-

ში გამართულ „კაქასიურ“ საღამოებს“, ცეკვა-თა-მაშობა კი ბევრი იყო, მეტადვე ეწრაპული, და გაატანა დილის 5 საათამდე.

სიამოვნებით უნდა აღენიშნოთ, რომ ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო და, ეგონებ, უფრო მეტიც დაესწრებოდა, თუ ხელი არ შეეშალა ერთ დიდ ქორწინს, რომელზედაც მიწვეული იყო თითქმის მთელი მდიდარი სოფობა, რის გამო ამ „სალამოს“ სომხები ცოტანი დაესწრენ. თუ არა ეცდები, წმინდა შემოსავალი უნდა იყოს 500 მანათამდე.

მიუხედავად ამისა, დიდად საქებია კაცავეის ქართველობა, რომ არ იეიწყებს გაქირავებულ მოძმეებს და, რითაც შეუძლია, დახმარებას აძლევს. მართალია, ეს დახმარება წვეთია ზღვაში, მაგრამ არ უნდა დაეიწყოთ, რომ ზღვა კოვხით დაილევა, და კოვხითვე აივსება. ბევრი რომ შეგროვდეს ამისთანა „წვეთები“, მაშინ დაზარალებულთაც საგრძნობლად შეუსუბუქდებათ ის გაქირავება, რომელიც მიაყენა ოქტომბრის წყალ-დიდობამ. სამწუხაროა, როგორც ჩანს, დღევანდლამდის არ შემდგარა არაერთი კომიტეტი დაზარალებულთა დახმარებლათ. არ ეიცით, რას მივაწეროთ—ჩვეულებრივ გულ-გრეობას, თუ სხვა რასმე?!

„სალამოს“ გამართვაში დიდი ღვაწლი მიუძღვით და ამიტომ, დიდი მადლობის ღირსნიც არიან შემდეგი პირნი: კენინა მ. ზ. ქავჯავძისა და ბ. ნ. ალ. პ. სარაჯიშვილი, როგორც მოთავენი და გამგენი; მხატვრნი მგდესიკი და სტრაიონოსკი, რომელთაც, გარდა ზემოხსენებული გამოკებაული ტინის გაკეთებისა, სხვაფორიაც მიიღეს მონაწილეობა; კაცავეის ქალაქის საკრებულოს გამგეობა, რომელმაც უფასოდ დაუთმო თავისი ჩინებული სადგომი, და ყველა ისინი, რომელთაც ცოტათი თუ შეგროვებთ მონაწილეობა მიიღეს „სალამოს“ გამართვაში.

დასწრე.

დ. აბაშ. არ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს ის უფულობა და სიქესატე, როგორიც წარსულსა და მდგომარე წელს საერთოა აქ არის! მრავალი ოჯახი რომ წულაც იყენ შეუტყობა სადღესასწაულოთა და პურ მართლის მოყვარული ხალხი ჩვეულებრივით ამ დღესასწაულებში დროს გატარებას მოკლებულია. მოსავალი ხომ სრულებით აქეთ არ მოსულა! აქუარების ცხოვრების სახსარი სიმინდია და ისიც ცული ამინდებისაგან ერთიანად დაილევა. რა უნდა ჰქნას ხალხმა? ამის ფიქრში და გლოვაში არიან დღეს! ჯერ იყო-და, აზნაურობის დაპტიკცებამ და ძენბამ ერთ მილიონამდე ფული ჩალუბა თბლისსა და ქუთაისში.

ამდენი ფული რომ ერთ კუთხეს გამოაკლათ, რასაკვირველია, საშავალიოთ დატყობა ხალხის ავლიდდება. ამას ზე დაურთეთ ბუნების ლალატიც—და თვალწინ ნამდვილი სიქესატე დაგხატებათ.

აქეთ, რიონის პირათ, წყალ-დიდობამ რომ ზარალი ჰქნა, არაგვის არ უნახავს ამისთანა შავალითი როდისმე მომხდარიყოს, აუარებელი წერილ-ფეხა საქონელი ერთიანად დაიხრია და სხვა ზარალს ანგარიში არ აქვს. აეთმოყოფაბუ ძალზე გაერკელებულია, მაგრამ პირველი მოხსენებული მიზეზი ხელს უშლის, რომ მცხოვრები სენს შეგებძლოს. სიმინდი რაც მოვიციდა, მასაც ფსი არა აქვს. ასეთი გაქირავება ადგია საერთო მღაზიო ხალხს სამეგრელოში.

როგორ მოვიგინოს შენ, ძველო წარსულო წელიწადო, კაცმა?—მარტო წყევლა—კრულვით, მეტით არაუფრო?

ბ. დ-შე.

ბათუმი, კვირას, 14 იანვარს, ბათუმის კლუბში გამართული იყო „წერა-კითხვის გამარტკლებელი საზოგადოების“ ბათუმის შკოლის სასარგებლოთ ქართული საღამო. „ქართული საღამოს“ გამართვა ბათუმში 1894 წ. დაიწყო და ეს მხოლოდ მეორე იყო. საღამოს პროგრამა შედგებოდა ორი განყოფილებისაგან—სასიმღერო და სცენების კითხვისაგან. საღამომ საზოგადოთ ჩინებულათ ჩაარა. განსაკუთრებით დიდად ასიამოვნა საზოგადოება ქ. ნ. მ. ძნეაძის სიმღერამ „ნანა შეილო ნანინ“-მ, კოტე მესხის იმერულმა სცენებმა და გურულთა მომღერალმა გუნდმა, რომლებიც იყო გურულ წითელ მუდის ტანსაცემში გამოწყობილი. აგრეთვე საუცხოოთ შეასრულეს რუსული „ოპერეტიდან“ სცენა ოპერის ტან აქემლშივე გამოწყობილმა ქ—ს სოლორაშვილისამ და ბ—ს სედელნიკოვმა.

დასასრული აღარ მიეცა ლეკურ ცეკვს და ეპროპოთუ „ტანსკ“.

ნაღდი შემოსავალი 2000 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

აქ უნდა შეენიშნოთ, რომ საზოგადოთ ბათუმის მცხოვრებლები ყოველ ამ გვარ საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეში ყოველთვის დიდ თანაგრძნობას იჩენენ: ტევა აღარ იყო აქაური კლუბის ყველა ოთახებში და დიდ დარბაზში. გარდა აქაური მკვიდრისა კარგა ბლომათ იყო გურულები განგებ ამ საღამოზე დახმარებლათ ჩამოსულნი. იყო ახალსენაკიან იქაური თვალ-აზნაურობა და სხე...

სალამო გამართვაში შეთაურებათ მანდილოსნენი იყვენ და ეს მოთუფარა სასიამოვნოა, რომ ბათუმელ მანდილოსნებში ბეჭტი დიდ სურვილი

იხსნა საზოგადო საქმეში მონაწილეობის მისაღებათ და დიდი ენერგიით ასრულებენ ნაკისრ საქმეს. სწორედ დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საღამოს მეთაურებო.

ვისურვებთ, რომ ყოველ წელიწადს ასეთი

ენერგიით მოკიდებოდნენ ამ საქმეს და ასეც დაევიწყებინებოთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, როცა „ქართულ საღამოს“ გამართვენ, ქართული ელფერიც მეტა ჰქონდეს.

გ. თ.

ჩვენი სახიობა.



თმზბათს, ამ თვის 17-ს ე. გუნის საბუნეფისოთ წარმადგენილი იყო ორი პიესა. ერთი—პირველი ბუზა—სამ მოქმედებანი კომედია ე. ეელიკოსი გუნას მიერ გადმოკეთებული. მეორე—„ცხოვრება“ ორ მოქმედებანი ორიგინალური დრამატული სურათი ე. გუნისაივე.

„პირველი ბუზა“ სულ ახლათ არის გადმოკეთებული და ჯერ, ამის მეტათ, არ უთამაზიათ ქართულ სცენაზე. გადმომკეთებელს ის კი ვერ უქნა კარგათ, რომ მომქმედი პირნი ორ ბანაკათ დაუყვია—იმერლებათ და ქართლებათ. პიესის შინაარსი ფრიად სადა და უბრალოა. ლლონტაძეს (გედევანოვი) ჰქავს 24 წლის ქალი (ეფ. მესხი), რაგელსაც ადგილობრივი ახალგაზღბლა უწრადლებას არ აქცევს. ამ დროს იმ ქალაქში, სადაც ლლონტაძე ცხოვრებს, ჩამოვა თავ. რაინდაძე (გუნია)—კაცი მდიდარი და დამსახურებული. რაინდაძეს გაიწობს და დაუახლოვდება ლლონტაძის ვაჟი-შვილი—მათე (ე. აბაშიძე), რომელიც უსაქმით დატანტალებს და უუქსავატობასა და კარტის თამაშში ატარებს დროს. აი, ამ მათეს მეგობრით, სრულებით შემთხვევით, რაინდაძე ლლონტაძისას მიდის. აი, აქ არის ნასკვირ პიესისა. ლლონტაძის ქალი, ლიზა, არც აცივებს და არც აცხელებს, ისე მაშინვე რაინდაძეს თხოვს, ეხვეწება, რომ მას არშიყობა დაუწყოს. თუ შენ გამიარშიყვებო—ეუბნება ლიზა—მაშინ სხვა ახალგაზღბელიც უწრადლებას მომაქცივენ და შემიყვარებენო. ხომ იცო, ნამცეცს რომ პირველი ბუზი დაჯდება, მეჩვე იქვე თავს მოიყრის ხოლმე სხვა ბუზებიცო. აი, ეს პირველი ბუზა უნდა იქნე შენ, მე კი ნამცეცო. სიტყვა საქმეთ იქცა, თხოვნა შესრულებული. რაინდაძე, შეძლებული თავადი, სამსახურში წარჩინებული და საქმათთ ლამაზიც, ლიზას გაუარშიყვება. ეს გარემოება შურსა ჰგერის ახალგაზღბებს ჭ მათ ლიზაზე უწრადლებას მოაქციენებს: ყველაზე უფრო ლიზას სიყვარულმა კოწია ჯაფარაშვილი გაიტაცა. ლიზასაც ეს უნდადა: წადიო შეუსრულდა. ლიზა ჯაფარაშვილს აყვია ცოლათ.


კომედია საქმათთ სასცენოა, მოქმედება ცაცხელი და მოძრავია. ჩვენი მსახიობნიც კარგათ ასრულებდნენ თავიანთ როლებს. კარგი რამ იყო ლლონტაძის ცოლის როლში ქალ. ჩერქეზოშვილსა. ხოლო იმერელ მანდილოსანს კი კარგათ ვერ გვიხატავდა.—ბ. გედევანოვს არ ეტყობა ბუნებრივობა; იგი ნამეტან ძალას ატანს თავის თაგს, აწარჩაბებს. ასე რომ არ იქცეოდეს, უშჯობესი იქნებოდა. მისი ნიჭის პატრონს ყოველთვის ადვილათ შეუძლია ეს ნაკლი აიკლოს. საქარაა მხოლოდ უწრადლება მოაქციოს თამაშს ე. აბაშიძისას, რამლის ყოველი მოძრაობა ასე სრული და ძალდატანებელია.—ლიზას როლი ეფ. მესხმა ჩვეულებრივით კარგათ ჩაატარა. მაგრამ ე. გუნია კი ღმერთმა შეწახანს! შეწახანავეთ ამბობდა მხოლოდ „это замечательно!“-ს. გაარშიყვამ ლიზასადმი საყვარულიც აკარძნობია, მაგრამ ამ თაგს სიყვარულს ბ. გუნია მხოლოდ იმით გვატყობანებდა, რომ მხრებს ზევით წევდა, ისე, რაგორც ვაკვირებდნენ დროს ვიციოთ ხოლმე.

მეორე პიესა „ცხოვრება“ მეტათ უღანათათ შედგენილია. თათან მსახიობნი ცდილობდნენ დვერწმუნებით, ეს დრამაა, მაგრამ ჩვენ კი გარდა სიტყვების რამაროხისა და წმეტუნისა არა გვესმოდა რა და არც ეხედოდნოთ. ეს არის რაღაც გაუთავებელი მონოლოგი-დიალოგებო, რამლის წარმოთქმის დროს საზოგადოებაში ბევრს ჩავიხინება ხოლმე. აქ არ არის არავითარი მოქმედება, მოძრაობა, არის მხოლოდ საყველ-პურა დაბალი პირობის მორალი, რომელიც თვით პიესიდან კი არა ჩანს, არა, მას ერთ-ერთ ასრულ წოდებულ მოქმედ მისიანგან ეტყობილობთ. რა ჰქნას აქ არტისტმა, მსახიობმა, თუგინდ იგი პარიკის ტალა იყოს ნიჭით?

საზოგადოება დიდძალი დავსწრა, აქ სხვათა შორის ნახედით ისეთ პირებსაც, რომელნიც მეტათ იშვითათ ესწრებიან ქართულ წარმოდევნებს. მოაზრეფსემ აუარებელი საჩუქარი მიიღო. საკვირველია, ღმერთმანი! საჩუქარი, რამდენათაც ვიციოთ, იმის მაჟინებელია, რომ ეს თვის მსახიობი თავის ნიჭით საზოგადოებას მასწავლან, ჩვენ გუნიაზე ბევრათ უფრო ნიჭიერი

მსახიობნი გეყავს. მაგრამ მათ თავიანთი ბენეფისის დროს იმის ნახევარი საჩუქარიც არ მიუღიათ, რაც ე. გუნიაშ. ეს გარემოება კი ფრიად სამწუხაროა, რომ სასაცილო არ იყოს. საზოგადოება უნდა ღირსებით

აფასებდეს ყველას, თორემ ნიჭიერ მსახიობთ გულტყულებათ და გულს აცრუებენ. მაშინ გამოჩნდება შედეგი საზოგადოების ასეთი განურჩევლობისა..




შეეყურებ ცასა, ვარსკვლავთ სრბოლას
თავლას ვადევნებ,
მაგრამ ვერ ვხედავ ჯერ იმ ვარსკვლავს,
რომელსაც ვეძებ...
ნუ თუ ვერც ვნახავ, ნუ თუ მანამ
ის აღმოხდება,
ველარ აიტანს ტანჯვას სული
და ამომხდება?

ოჰ, თუ ასეა, თუ მის ზილვას
ვერ მოვესწრები,
შემდეგ თაობათ ეუანდრძებ
და ვევედრები,
როს პირველ მნახონ ის ჩვენს ცაზე
ვაბრწყინებულნი,
აუნობონ, რომ მე მის ლოდინში
დავლიე სული..

დეკემბერი 1895 წ.

დ. შ. შერვალი.



სიახველი და სასიახველო შკადლა

გეგზნაშაში.*)



სახმწიფო გზების ერთვის სასოფლო გზები, რომელთა ნაპირას გაშენებულია მეთაზე ჯგუფის, ანუ „მეიარდნილი“ სოფლები, სიახველი პატარაა, 400 სულს არ შეიძლება მცხოვრებთა რიცხვი. დობელიდან ერთი საათის საეაღზე სძვს ს. ნოისაელი, რომელშიაც ოთხასი სული მცხოვრებია. სახლები პატარებია, ქუჩა ვიწრო და მოკლეა, ორ წუთში თავიდან ბოლომდე ჩაივლი. აქეს ერთკლასიანი შკოლა, შემოკლებული სასოფლო სამართევლო (ე. ი. ბურგოშაისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ჰყავთ), ეკლესია არა აქვთ, სალოცავად დომელში დადიან, ყაფა-ხანა კი ოთხია. შეეველი ერთ იმათგანში. მარა რა ყაფა-ხანა! სწორეთ წინ de siძელისა. ორი უშნო სტოლი, რამოდენიმე გძელი სკამი, პატარა შალა, კუთხეში ბოთლები და რაღაცემა მიყრილი. ერთი ბებერი ქალი შემეფეთა.—აქ საღლაყ ყაფახანა უნდა იყოს, გითხე.—აი ეს არისო, მომიგო. რასაკერეელია ჩემით ვერ წარმოვიდგენდი სადმე ევროპაში ასეთი ყაფა-ხანა იქნებოდა. შეეუბრივი ბედს, როგორც იყო მივათრიე სკამი სტოლთან და ღვინო მოვითხოვე.

მომიტანეს მეოთხედი ბოთლი, 40 პენინგი ლოსო, დაყოლა შედე (ასი პენინგი ერთი მარკა) მარა ღვინის შეტს ყვე ღაფერს ჰგავდა.—სადარია ღვინო?—ღვინო კი იყო მაგრამ ცოტა შეცვლილია, აქ ღვინის მუშტარი იშვიათად გეყავს, ხალხმუდამ ლუდს თხოულობს, ამიტომ ღვინო დიღებ გვირჩება სარდაფში და ხან-და-ხან გვიუქუქდება, ამხანა დედა-ბერმა. ლუდი კი გვირჩიან ჰქონდა. საქმელი მოვითხოვე, ერთი წყერ ჩამოტეხილი ჩანგალზეთათ/გაღუნული, გაშაყებული კოჭე და ბოლოდან და მიწყვეს წინ. სტოლის ვაწყობაც თავისებურად სწარმოებეს; სამი ქალი მსახურებს: ერთს დამოაქეს, მეორეს ჩანგალი, მესამეს სუფრა და ერთმანეთს ეჯიბრებიან. ცოტა ხანს შერე საიდანდემოთხეც ამოძერა, ახლა ესეც შეუღდა ფაქურად დედა-ბერმა მითხრა ოთხივე ჩემი შეიღებიაო გვერდიტ მომიჯდა. პური ისეთი მაგარი იყო, რომ ერთი ნატეხი ძლიეს ჩამოგლოჯე (დანა არა ქნა და). დედაბერმა ბოლში მოითხოვა: ჩვენ აქ ვარსტუშურებს არ ვართ შეჩვეული, არაიენ ჩამოდაქეთ, ჩვენსავე სოფლელებთან ამითაც ილოდ მიდიერთო. რატომ შკოლა კი ავიგიათ და ეკლესია არა?—საკუთარი ეკლესიისათვის ცოტანი ვართ, გადა ამისა შკოლა კერაშა შეიღვერ გეჭირდება. ლესია კი ერთხელ, მომიგო დედაბერმა. ამ ღვინო შემოვიდა რამდენიმე ახალგაზდა, მოითხოვეს თო ბოთლი ლუდი და ბანქოს თამაში დაიწყეს.—ესენი ს. ჰოფენში რკინის გზის პირას შემოვი

*) ახ. კვლეა № 3.

ხერხზე -- გადმოვიფურჩულა ჩემმა მეზობელმა. შემდეგ 13-15 წლის ბავშვები შემოვიდნენ, ამათაც ლუღი მოითხოვეს და ბანქო. ფულზე კი არ თამაშობდნენ. დედაბერმა ხელახლა ვადმოვიფურჩულა: ამით ახლა ფული ექნებოდა და აქ უნდა დატოვონო. -- ეინ აძლევს ფულს? -- ზანუხელი ფულის საშოგარი დროა ბავშვებისათვის, ტყეში კრეფენ სხვა-და სხვა გარეულ ნაყოფებს და ჰყიდიან, ზოგი მუშაობს, გზას ექვჰეს, ასე რომ შკოლის წიგნებს და საშაბრო ტანისამოს სწირით თაისი ნაშოვი ფული იყი- ტანია. ერთმა ბავშვმა მეორე ბოთლი ლუღი მოითხოვა, დედაბერმა აღარ მისცა, ორი ბოთლი კი არა, ერთიც ბევრია შენთვისო.

როგორც აქაურმა მასწავლებელმა გადმომცა, საზოგადოებას დაუარსებია შემწახველ-გამსესხებელი პატარა ბანკი, რომლის ხაზინადარი თვითონ მასწავლებელია. ამის მიზნად მოიყვანა შემდეგი: საზა- რო ქალაქიდან ჩამოდიან ურჩებე და გაკორბულ გლეხებს ფულს ასესხებენ 6-8 პროცენტანი სარ- გებლით. ჩვენი ბანკი 3 1/2 პროცენტად ასესხებსო. აი, ეს როგორ წყარობებს; უნდაც ფულის შენახვა უნდა, ბანკში შეაქვს, ხოლო ვისაც ესაქიროება, სესხად გააქვს. ფული ბლომად გვაქვს კასაშიო, რაც ამტკიცებს იმას, რომ შემომტანი ვ. ი. შენახვის მსურველნი მეტა ყოფილან ეინში გამტანი, ვ. ი. მსესხებელნი. მასწავლებელი უნდასყიდოდ ასრუ- ლებს ხაზინადრობის თანამდებობას. ვარ და ამისა ამ პატარა სოფელს რამდენიმე ათასი მარკა სახეშოთო ბანკში ჰქონია შენახული. საზოგადოდ მე ძალიან მაყვირებს ის გარემოება, რომ ასეთ პატარა, მი- ვარდნილ სოფელში ამდენი ფული ტრიალებს. აქ შემთხვევით ქორწილს შევესწარი, დობელის ეკლეს- სიაში ჯგარი დაეწყოთ და მიღოდენ. "ნეფე" გა- მოწყობილიყო შვედ კოსტიუმში: შავი სერთუკი, ასეთივე შალვარი, გაკრიალებული წალა, თავზე ცი- ლინდრი, ხელზე თეთრი ხელთათმანები. დედოფალი სულ უბრალოდ იყო ჩაცმული; ერთმა მაყურებელ- თვანამა თქვა: ეს მისი მეორე ქმარია, მიღამაზ-მო- ლამაზებდას დიდად აღარ აფასებსო. თავიანთი მაყ- რებით (სულ 6 კაცი და 2 ქალი) შევიდენ ყავახანაში, სადაც სადღიო ჰქონიდა გამართული. ერთმა ხნი- ერმა კაცმა მითხრა: მე არ მახსოვს, ქორწილი ოჯახში გავემართოსო; ეს უანგარიშობაც იქნებო- და. ყველაფერი ხომ უნდა იყიღონ და ბარემ იქ არ სჯობს, სადაც მოწყობილბაც მოხერხებულა.

გადვიდეთ სხვა სოფლებზეც. როტენსოლი, 347 მცხოვრები, ერთკლასიანი შკოლა და სასა- მართლო. ეკლესია არ არის. დენნახი, 338 მცხოვ- რები, შკოლა და სამართლები, ეკლესია არ არის;

ბერნობოზ 524 მცხოვრები, შკოლა და ეკლესია, ამაზე მიწერილია პატარა სოფელი მასგრონი; შვაგ- ცენბერგი 259 მცხოვრები, შკოლა; მიფელსბერგ, 370 მცხოვრები, შკოლა და სამართლები, და სხვ.

სოფლები ერთი მეორესაგან საქმაოტ დაშორე- ბულია. მთელ მახარაში, სიერცესთან შედარებით, მცხოვრებთა რიცხვი ცოტაა. ეს წარმოადგება იქი- დან, რომ სამუშაო ბევრი არ არის. ახლანდელ დროში სადაც ფულის საშოგარი ადგილია, ხალხიც იქ იკრამება. აქაურ გლეხ-კაცს რომ ჰქონო, გეტყვისნე- ტად არც ამდენი ვიყოთო. რატომცა მასწავლებელ- მა გადმომცა: ამ სოფელში ათა წლის წინეთი დაცილე- ბით მეტი მცხოვრები იყო ეინემ ახლა, ნახევარზე მეტი გადასახლდა-ზოგი ქალაქებში, ზოგი ამერიკა- შიო. ასეთი მავალითი ერთობ სწირია, წარა თუ სწირია -- დღევანდელ სოფელს ეს საფუძვლათ დად- ბია. ზოგი სოფელი მუდამ ერთ დანებზე დგას, არც კლებულაო, არც მატულაო. ამის მიზეზი ის არის, რომ გამარელებულთა რიცხვი ტოვებს ოჯახს და ქალაქებში მიდის. ეს გადასვლა-გადმოსვლა, მცხოვ- რებთა მიმდინარე-მიმდინარეობა პირდაპირ შეკავში- რებულია ეკონომიურ პირობებთან. ადამიანი დას- დევს ნეტოსა და არა ნიეთი ადამიანს. ეს კარგად აქვს შეგნებული სოფელს. ერთ ყავახანაში გლეხ- ბი ამ საგანზე ბასობდენ. -- ჩემი სიცოცხლე ამ ხის ჩენას როგორ უნდა შევადლო, დაიწყე ერთმა, კარ- ვი იყო სადმე ვადამეკულია, ეგების სხვაგან გჯობს. -- შენი არ ვიცი და ჩემ სოფელში ცოტა ხანს მერე კაცი არ დარჩება; წავალ, ქვეყანა დიდა, თვალს გუავებლო -- და ასე ნელ-ნელა ცალთვინდება სოფე- ლი; მე კი რაც უნდა დამემართოს ჩემ სახლს ვერ მოვშორებო. (შენ რაღას იტყვი, ვართ ვასული კაცი ხარ. მოუბრუნდა ერთ იქ მჯღამ გლეხს. -- რა ვიცი, რომელი გავამტყუნო, ორივე მართალი ხართ. საქმეს მაინც დიდხანს უნდა ზომავ; მე პირველათ აქე- დამ პირდაპირ-სრულავეში გავეგზავრე, მითხრეს იქ ახ- ლოს ქვა-ნახშირის მადანია და მუშას თხოულობენო. პრესლავიდან მეორე დღეს ფეხით წავედი, შევედი ერთ ქალაქში. დავდივარ ხან იქით, ხან აქეთ ქუჩაზე, ვერაფერი ვნებდი, ვითქოვე ყავახანა, რომ ამოდენა ქალაქში არაფერ მიჩანს, ყავა-ხანებს კი უანგარი- შოს ვნებდვ. შევედი ერთშია და ვიკითხე, სად შეი- ძლება მუშა-კაცის ნახვა, რამე საკითხავი მაქვს მეთქი -- ცოტა მოითმინეთ და ბევრს ნახეთო. არ გაუეღლია ერთ საათს, რომ მოვიდა, მაქა რა მოვიდა, ქუჩა, ყავა-ხანები ერთიანად აიგსო. რაც ჩვენ მა- ხარაში მცხოვრებია, ორი ამდენი კი იქნებოდა. ხანა მითხარა, ამდენ ხალხს რა მოუყვარა თავი ისე მკორე ადგილზე? -- რამ და იქ ქვა-ნახშირის მა-


დანია. სამუშაო ბევრია, ფული ტრიალებს. განა არ ვიცილი რომ იმ ნახშირში დასერას აქ სოფელში ყოფნა ჯობს. მაგრამ ირი წელიწადი მაინც იქ დავჩნდი. ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული. სადაც ფული შოულობ, იქ რჩები, — დაბოლოვა როგორც იყო მოსაუბრემ. მგონია ჯერ კიდევ არ შეჩერდებოდა, ელაცას რომ გარედან არ დავძახა. გერმანული ლაპარაკობს ნელა, დალაგებით, როცა ერთი გაათვებს მეორე დაიწყებს. შეზღუდვა ან სიტყვის წართმევა მათში იშვიათია. [„შეიტყის“ სოფლებში ძლიერ გავრცელებულია ბის კედლის საათის კეთება. „Schwagwälder Uhr“ (შაგი-ტვის საათი) მთელ ევროპაში ცნობილია. მაგრამ ეს წარმოება ისეა დაყენებული, რომ სოფელს დიდ შემოსავალს არ აღუვებს. სოფელი ამზადებს საათის ამა თუ იმ ნაწილს და არა მთელ საათს. გაკეთებულ ნაწილებს ყიდულობს ვინმე კაპიტალისტი მესაათე, აწკობს ერთმანეთთან და ასე-ამზადებს მთელ საათს. ამ ნაირად გლეხისაგან იაფად ნაყიდი ნამოქმედარით თვითონ იტებს ჯიბებს. გლეხმა არც კი იცის, რომელი ნაწილი როგორ იხმარება, რომ იცოდეს და თვითონ მთელი საათი მოამზადოს, გაყიდვა გაუჭირდება ავას თანხა, ბაზრის მონახვა, საწყობი და სხვ ამისთანები ესაჭიროება. გლეხს ამისათვის, არც შეძლება აქვს, არც ცოდნა და არც ღრე. ეს არ შეადგენს მისი ცხოვრების წყაროს, ამას ის სხვათა შორის, მოკლილ ღრეზე, მუშაობს. ბავშვები ისეა ამ საქმეში გაეარჯიშებულნი, რომ მთელი ზამთრობით ამის მეტს არას აკეთებენ.

ახლა რამდენიმე საზოგადო შენიშვნები მოვიხსენიოთ.

გერმანელი სოფლის დედა-კაცი შეხედულვებით ძლიერ უღამაზოა. ჩამომხმარა პირის საქმე, წითელი ლოყები, თეთრი თვალ-წარბი, ვიწრო და თხელი ნიკაბი, წაბლის ფერი თმა, ხელება და კისერზე ჩაშვებული — აი გერმანელი სოფლის დედა-კაცი. აცოცა სადღე ჩითის, უშნოდ შეკერილი, კაბა, ფეხზე კაცის ჩექმები. კვირა-უქმე დღეს ცოტა

უფრო გამოკოხტავდებიან. საზოგადო პატარა ტანის და ძალა წყრილია. ერთი შეხედვით სუსტი ავთმყოფი გეგანებათ. მაგრამ სამაგალითო მშრომელი და ჯაფის ამტანია. მან მოსვენება არ იცის. სიღამაზეში მათ არც კაცები ჩამოუფარდებიან, თუმცა კაცებს ცოტა უფრო ლამაზი პირის სახე შეჩინიათ. ჩვენ ერთი საუკლის-ხმინრო მოვლენა შევამჩნიეთ ევროპაში. ჩვენში მაგ. სოფლის მცხოვრებელთ მეტი ბუნებრივი სიღამაზე ახლავთ, ვინმე ქალაქის მცხოვრებთ. აქ კი ერთიანთ შეპრუნებულა. ქალაქელნი უფრო ლამაზებია, ვინმე სოფელელნი, ესენი ორ სხვა და სხვა ტიპს წარმოადგენენ. განსაკუთრებით გერმანიაში ეს მოვლენა თვალსაჩინოა. აქ უფრო ძლიერი ზღუდე აღმართულა სოფელსა და ქალაქს შორის, ვინმე საფრანგეთში და შეგიცარიაში. საიდან წარმოადგება ეს? ჩვენი აზრით ამის მიზეზი დამარხულია — მთელ ახალ ცხოვრების განვითარებაში. დღევანდელი ცხოვრება ქალაქური ცხოვრებაა, ის სოფლის დანაგვრახზე და განადგურებაზეა აშენებული, სოფელი ქალაქს ყმაა ეკონომიურაზე, განვითარება და ბოლოს ფიზიკურადაც. ამიტომ სოფელელისთვის ქალაქი სატრფიალო საგანია. იქ წასვლა და დაბრუნება მისი იდეალია. ქალაქელს სოფელაზე თავი მიაქვს, ამაყობს, თავის თავს მოქალაქედ იწოდებს, სოფელეთ გლეხს უწოდებს. მერე რას ნიშნავს „გლეხი“? გაუთლებს უზღელს, უშნოს და სხ. როცა ქალაქელნი ერთმანეთს შევაგინებენ, ასე ეტყვიან: აი, შე გლეხო. აქაური გლეხი თავის თავს მოქალაქეს უწოდებს, აღარც მას მოწონს სიტყვა „გლეხი“ (Bauer). ჩვენში, მაგ. გურიის გლეხ-კაცს სიტყვა „გლეხი“ ეგაჯრება, რომ ჰქონოთ გლეხი ხარო ის მოგიგებს: დიან, ბატონო, მსახურიშვილი ვარო. ხოლო აქაურ გლეხს ამავე კითხვით რომ მიმართოთ, მოგიგებს: დიან, ბატონო, მოქალაქე ვარო. პირველს თავი მოაქვს იმით, რომ მსახურიშვილია, მეორეს კი იმით, რომ მოქალაქეა. აი რამდენე კულტურული განსხვავება ჩვენსა და ამათ შორის!

სს ზღაწ-გარეთელი.
(შეადგო იქნება)



საქართველოს რკინიგზის მშენებლობისათვის

წყალდიდობის გამო.

სოფელგან მიღებულია საქველ-მოქმედო მიზნით სალიტერატურო კრებულთა გამოცემა. მაგალითათ, ამას წინათ დიდ მშობილობის ღროს რუსეთში მრავალი ამისთანა კრებულნი გამოიცა. რუსეთის ყველა საუცუესო მწერლებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა საქმეში და ჟურნალ-გაზეთების რედაქციები და სხვა და სხვა საზოგადოებანი-კი თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა ვინ უფრო კარგ კრებულს შეადგენსო. არ იქნებოდა ურიგო, ჩვენც გამოგვეცა წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ამაირი კრებული. ამით ჩვენ ორ კეთილ საქმეს გავაყეთებდით. პირველი გაჭირვებულთ დაეხმარებადით მგირებთ მაინც და მეორე, ქართველ საზოგადოებაში ერთ რიგიან წიგნს კიდევ დეაქტივალდით, რომ

მელსაც ყოველი კითხვის მცოდნე ქართველი უმკველათ შეიძენდა. არც ძნელია ეს საქმე და თითქმის არაფითარ ხარჯს არ მოითხოვს კრებულის შედგენა და გამოცემა, რადგან დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენი მწერალი სიამოვნებით უძღვნის თავის კალმის ნაწარმოებს, ხოლო ქართველი მესტაშენები-კი სიამოვნებითვე იკისრებენ კრებულის უსასყიდლოთ დაბეჭდას. ქალღმრთის სასყიდელი ფული და სხვა წერილმანისთვის საჭირო ხარჯი ხ.მ. სულ მალე შეიკრიბება, თუ ერთმა არაფერ გამოიღო, ოღონდ იკისრას ეინმე ეს საქმე. მე მეგონია ქართულმა რედაქციებმა უნდა იკისრონ კრებულის შედგენა და გამოცემა და თუ ცალ-ცალკე არა, ერთათ მაინც გამოცენ, რითაც შეძლებას მისცემენ ჩვენს მწერლებს, რომელთაც ფულით დახმარება არ შეუძლიათ აღმოუჩინონ გაჭირვებულთა, კალმით მაინც დაეხმარონ და სინაღლისის მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ ცოტათი მაინც....

დ. ბ. შ. მკვრელი.

მოკლე პასუხი გრძელ ლანძღვანზე.*

სართველთა ამხანაგობის წარმომადგენელმა ალ. ჯაბადარმა ათი ადგილი სტატია (იხილეთ „ივერია“ № 7) უძღვნა ჩემ მიერ „ქალღმრთის დასტამბულ მიმოხილვას. მე უკარისათ მივიჩნევთ ეუპასუხო იმ ლანძღვა-გინებაზე და ქუჩაში აკრეფილ ქარებზე. ან რა უნდა მოეთხოვოთ იმ კაცს, რომელმაც არ იცის ჟურნალ-გაზეთების მოვალეობა და, როდესაც სიმართლის ასაღწევათ და საქმის გამოსარკვევათ ეწვევით, ყვირის მტრობაო—ეს მხოლოდ მისი უძღოურებაა.

* ეს წერილი მზით გვერდნა, რომ „ივერის“ ფელეტონისკმა, ვიღაც ნიღბ-წამოფარებულმა (აი, გითხილ სინდისიერებამ!) და დაიწვევებულმა „მწერდამ“ (!) ინსინუაციებით და მოუზიდავადი ღანძლა-გინებით სავსე სტატია გადმოგვიმუდრულა მე და „ივერის“ თანამშრომლებსაც. აჭარბის იღუმელი ზნახვა სტატიის ბოლოდანვე ივერისათვის ცხადათ გამოქვეყნების და სწორეთ ამ მიზნისათვის შეუსანსდავს თავისი სტატია, საწყალი! ეტუთა, ჰეროსტატეს სულოებით ფიჭრობის თავის დაიწვევული თავი დაუგვიწერ ჭყოს. ღმერთმა ხელი მოუხმოსო!.. ჩვენ რად გვეთქმის. . გზა მივცეთ და მივულოცოთ გზს „ივერის“, რომ მის ასეთი შეიწყისი საპალიენტოლოგო ნაშთი აღმოუჩინას!

გადავიფიქრო იმაზე, რასაც წერს ალ. ჯაბადარი თეთ „მიმოხილვის“ შესახებ. (ამ ნაწილისთვის უძღვნა მხოლოდ მეცხედი ადგილი). ჩვენ ვწერდით, რომ, რაც ამხანაგობა დაარსდა, მე შეიღე წელიწადი (იხ. ამხანაგობის დასტამბული 1893 წ. ანგარიში, რომელსაც აწერია მეოთხე წელიწადი). ამხანაგობის წარმომადგენელი ალ. ჯაბადარი ამბობს: შეცდომა არისო, მეექვსე წელიწადია.

ამხანაგობის უკანასკნელ გამოცემაზე „ლიდინს დაყენება“ აწერია მწ წიგნი. ამხანაგობის წარმომადგენელი კი ალ. ჯაბადარი ბრძანებს: „ნო წიგნზე მეტი გამოვეციოთ“, „გარწმუნებთ ასეო“. არ ვიცი თუ დაბეჭდილ ანგარიშს დაეუკერათ, თუ ალ. ჯაბადარის ლიტონ სიტყუას „გარწმუნებთ“.

„წიგნებს არაფერ დაპირებია სარგებელს“ ბრძანებს ამხანაგობის წარმომადგენელი ალ. ჯაბადარი. ხუთ-ექვსე სტრიქონს შემდეგ კი, აი, რასა წერს: „სამი მეოთხედ ამხანაგობის თანხისა (!) სწორეთ სარგებლის შემცვერალია.“

არაფის თხზულება არ დაგვიმთავრებია ვარდა დავითაშვილიო!— განაცხობს იგივე. არ ვიცი ალ. ყაზბეგი რაღას დაწერს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძის თხზულებების დაბეჭდვის დამთავრება რომ მივიხსენიეთ—ვაშობდით იმაზე, რითაც ისიც და ალ. ყაზბეგიც ცნობილნი არიან და არა, რაც ისტორიის კუთვნილებათ შეიქმნა.

რე.

აქ წერეთლის მეორე ტომი გამოვიდა 1893 წ. დამდგს, ბ. ალ. ჯაბადარი ბრძანებს 1894 წ. დამდგს.

თ. რაფ. ერისთვის პირველი ტომი დაიბეჭდა 1894 წ. დამდგს ალ. ჯაბადარი კი ბრძანებს 1895 წ. დამდგს. მართალია, საზოგადოებამ არ იცის ანგარიში, როდის რა იბეჭდებოდა და წიგნი რა ჯგუფობდა, მაგრამ ამის შეტყობას ბევრი თავის ტეხა არ მოუწდება, საქმარისა დახედოს გამოცემული წიგნის ზედაპირს. არ ვიცი, რითი ხელმძღვანელობს ამხანაგობის წარმომადგენელი ალ. ჯაბადარი, რომ მართლს არ აუწყებს მკითხველს. ბევრი ამ გვარი უსაბუთო საბუთებით ვითომდა არღვევს ალ. ჯაბადარი ჩემ წერილს, რომლის დედა აზრი არც კი გაუგია. მისი გზანება რაღაც ნისლით მოცულია და სტრიქონ შუა დადებებს რაღაც ბოროტობას და შეურის ძიებას.

მე ვამბობ: „ამხანაგობის“ გამოცემული წიგნები ერთობ ძვირია, ხალხი ვერ ყიდულობს, ამიტომ საჭიროა ჩვენი მწერლების ნაწარმოებების გამოცემა ჯერ ცალცალკე, იაფფასათ, რომ ხალხი შეეჩვიოს კითხვას, როგორც მაგ. რუსეთში გამოცემენ ხოლმე და, თუ ამხანაგობა თითონ არა სტამბეას მაინც, სხვას არ უნდა დაუშალოს იმიტომ მხოლოდ, რომ ორიად გრძელში მიუტია მწერლისათვის. ესა ვთქვი, ვამბობ და კიდევაც ვიტყვი.

ჩვენ სრულებითაც ფექრათ არ გვქონდა შეგვედარება რუსეთის მწერლების ნაწარმოებების გამოცემა და ჩვენი, თორემ ბევრ საგულისხმო რასმე გეტყოდით. მაგ. შარშან ლ. ტოლსტოის აძლევდნენ 20000 მ. მის თხზულებებში და ის არ დათანხმდა. ჩვენი ამხანაგობის წარმომადგენელი ალ. ჯაბადარი ცრემლ მორეული ამბობს: ერთს მივეცი 200 მ და მეორეს 2000 მ. და ამიტომ დიდი ფასი დაეძღოთ მათ თხზულებასა.

ვკითხოთ ერთი „ამხანაგობის წარმომადგენელს ალ. ჯაბადარს“: „ლინის დაყენება“ რომ დაბეჭდა, რა მისცა უეტარს და ან რითი ხელმძღვანელობდა ერთხელ აწყობილ და დასტამბულ წიგნს ფასათ რომ დაადო 2 მ. 50 კ. და, თუ შედარება ნებას რუსულ წიგნების გამოცემებთან, მოგახსენებ, რომ ლერმანტოვის სრული თხზულება ნახატებოთ და ვარაიანი ყდით ღირს ხოლო 2 მ.

ამ წერილს ვამთავრებთ იმითი, რომ, თუ ბატონი ალ. ჯაბადარი კვლავაც გამოილაშქრებს იმავე კილოთი და მასალით აღჭურვილი, როგორც წინა წერილში, მე პასუხს არ გავცემ. დეე, საზოგადოებამ თვითონ დაფასოს მისი წერილი და, თუ საბუთიან რასმე გვიბრძანებს, მზათა ვარ პასუხი გავცეთ.

ან. წ - ს.

კვირიდან კვირამდე.

მვირას, იანვრის 14-ს, ნინოზა დღეს, სიონის ტაძარში ქართველობამ ბლომათ მოიყარა თავი. გამოცხადებული იყო, წირვა ქართულ ენაზე იქნებაო. ყველა მისწავლავდა სიონისკენ, რათა სასოგობით მოესმინა სამშობლო ენაზე წირვა თავის წარსულით გაბრწყინებულ ტაძარში... სასიამოვნო იყო ჩვენი წყნარი და მომხიბლველი გალობის მოსმენა. ურწმუნოსაც კი ჩაუნერგავდა ღრმით გულში სასოგობას... შეენიერი სიტყვა მღვდელმთავრისა სასიამოვნოთ დარჩა ყველა ქართველს... წირვაზე გალობდნენ ბ. ქორიძის ზე წიგნი სათავად-აზნაურთა სკოლის მოსწავლეთა გუნდნი. ჩვენი მოწაფეთა გუნდის გალობა მეტათ მწყობარი ზე ხმა-მწყობრი იყო, გვეგნებრდათ ციურ ხმებს ისმენთ. ბ. ქორიძის გუნდს ეტყუბოდა მოუშვადებლობა. არც ვასაკირველია ეს, გუნდის საქმე ჯერ-ჯერ რბით მოწყობილი არ

არის. ბ. ფილემონ ქორიძე უნობილია, როგორც კარგი გადამღები ნოტებზე, როგორც საეკლესიო, ისე საერო გალობისა, აგრეთვე, როგორც ხელოვანი ლოტბარი. ამ ახლო ხანებში მან გამოცხად თავის ღიად შრომის პირველი ნაწილი „ქართული გალობა“ ამ გვარათ გამოცემული წიგნი სხვაგან ზე სხვა დროს იქნება ხუთ მანეთ ნაკლებ არცკი გაყიდულიყო, აქ კი გამომცემელს ერთ მანეთათ დაუფასებია იმ იხედით, რომ ფურთო მეტო გავრცელებულიყო. ჩვენი მიგაქციეთ ყურადღება ამ გამოცემას ზე გესურს შევიძინოთ?! შემოსავალზე კი დამოკიდებულია ხსენებული შრომის გავრცელება და დამთავრება. ნუ დაევიწყებთ, რომ ეს შეადგენს ჩვენივე დაუფასებელ განძს. ამას გარდა საჭიროა დავებხაროთ ბ. ქორიძეს სამუდამო გუნდი დაარსებაში. როგორც აქაურ მკვიდრს, მას კარგად ექნება შეგნებული ჩვენი ხალხის სიმღერა გალობი საიდუმლოება და ამიტომაც ვთხოვრებთ, რომ ა ჩვენ ერთეულ წოდებულ პოინერებს უნდა ყოველივე დახმარება აღმოუქონინოთ, არ გვეტყარწყლოთ იმედ!

რომელიც მათ ასულდგმულებს, შეგებდათ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებს, ყოველგან არსებობს გუნდი მომღერალთა და მგლოზბელთა, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ სიმღერა-გალობა ერთ უმთავრეს ძალთაგანია ერთგუნების აღორძინების საქმეში. ეს ფაქტორი დიდი ზანია აღსარებულია, როგორც ერთი სასულიერო საშუალებათაგანი ყველაზე; სადაც ხალხი ცდილობს თავის ერთგუნდურ იერ-ფერს შეირჩინოს. ჩვენი ამ მხრით თითქმის არაფერი ვაგვიკეთებია. ვერაფერი იტყვის, რომ კარგი ხმის მქონენი არა გეყვანდნენ. ვის არ მოუსმენია ჩვენს ოჯახებში ისე უცებ, ხელათ შემდგარი გუნდის სიმღერა და ვინ არ დაშტაბარა ჩვენი სახალხო ჰანგებთი? ჩხვთში, მაგალითათ, აი, როგორ არის მოწყობილი ეს საქმე. ჩხვთის უმთავრეს ქალაქში—პრაგაში—არსებობს საზოგადოება, სახელდობრ „ქლამოლ“ (სიტყვა), რომელიც ცენტრალურ დაწესებულებათ ითვლება. ეს საზოგადოება განაგებს სასიმღერო და საგალობა საქმეს თითქმის ყოველი ჩხვთელი მამულიშვილი ზნეობრივ მოვალეობათ თვლის წევრათ ჩაწეროს ამ საზოგადოებაში. ამ საზოგადოებას დღეისათ ამოუჩინებია შემდეგი სიტყვები: „შენიმი კ სერდატ, სერადემ კ ელასტი“, ე. ი. სიმღერა—გულს, გული—საშობლოს. ამ ცენტრალურ საზოგადოებას მრავალი განყოფილება აქვს დაარსებული ჩხვთის შემსამხრე ქალაქ—დაბებში. ეს წრეები მართვენ კონცერტებს, სტამბენ სახალხო სიმღერების კრებულებს და სხვ. ერთი სიტყვით ცდილობენ შეაყვარონ თავიანთ ხალხს საერო ხმები. ყოველ ჩხვთის კარგათ აქვს შეგუნებული ამ დიადი საქმის მნიშვნელობა და ყოველ ღონისძიებას ხმარობს ამ გვართ მოწყობილი საქმე უფრო. მკვიდრ ნიადებზე დააყენონ და გაძლიერონ. ასე ესმის ჩხვთელ საზოგადოებას სიმღერის მნიშვნელობა საერო საქმეში. ჩვენ კი აქამდინა ვერ შევეცინა. დროა; გვონი, ჩვენმა მეთურმა განათლებულმა წრემ მიაქციოს სრული თავისი ყურადღება და ჩაუფერდეს ამ მრავალგვარათ მნიშვნელოვან საქვანს. ერთი საზოგადო სარბიელი კიდევ მოგვეშტაბა..

„ივერიაში“ დასტამბულია ოდესიდან მოწერალი ამბავი, რომ იქ უღღისესაწულიათ პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ოცდა ხუთი წლის სამეცნიერო მოღვაწეობა. ჩვენდა სამუხარობთ, ამ მშრომელი და პატიოსანი მოღვაწის იუბილეზე ფრიად ჩუმათ ჩაიარა. რა თქმა უნდა, ეს მისი ბრალად არის ვინც იცნობს პატივცემულ მეცნიერს, ის მაშინვე მიხვდება, რომ მორიდებული ხასიათის მექანე პროფესორს განგებ დაუმალავს თავისი ოცდა ხუთი

წლის მოღვაწეობის შესრულების დღე. მხოლოთ, სტუდენტებს როგორდაც შეუტყვიათ ეს დღე და ხელათ შედგომიან ამ დღესასწაულის მოწყობას, რომ ამათ დამეტყავებიათ თავისი გულითადი პატრისეცმა და სიყვარულა ამ ყოველად ძვირფასადამიანისათვის.

პატივცემულმა პროფესორმა სწავლა მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში, მერე შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც, კურსის კარგათ დამთავრებას შემდეგ, შეუდგა საპროფესოროთ მომზადებას. შრომის მოყვარე ახალგაზდა ნიჭიერმა სტუდენტმა ძლია ყოველგვარ დაბრკოლებას და ქიმიის დოქტორობა დაიმტკიცა. დაბრკოლება კი სხვა დასწავნაირი იყო. ერთ ამგვარ დაბრკოლებანე მოგვიითთა მერე ჩვენმა პროფესორმა, მელიქიშვილმა, სტუდენტების ერთ-ერთ ყრილობაში პროფესორმა გვიამბო, თუ როგორი ექვის თვალით უყურებდენ პროფესორები ქართველი სტუდენტების მეცადინეობას და საზოგადოთ უნიჭოთ თვლიდენ მათ. ასე ვასწავთ, თეთ პატივცემულს, გამოჩენილ ფიზიოლოგ სენეჩავს, როცა ბანი პეტრიაშვილი სამედიცინო დისერტაციას იცავდა, ეჭვი გამოიქვანდებია, რომ ქართველს არ შეუძლია მეცნიერულ სარბიელზე შრომა და ყოველ ღონეს ხმარობდა, თურმე, ვასილ პეტრიაშვილი ჩაუჭრა „გამოცდაში“. ცდამ უნდაფთოთ ჩაუარა გამაჩენილ ფიზიოლოგს. ახალგაზდა მეცნიერმა ღირსეულათ დაიცვა თავის შრომა და შესაფერი ხარისხიუ მოიპოვა. რა დიდი განსხვავებაა მაშინდელსა და აწინდელს დროს შორის.. ახლა, ვინ იცის, რამდენი ქართველი სტუდენტი ღარბილად უნივერსიტეტში სამეცნიერო სარბიელზე სამუშაოთ, რომ განუზომელი სიყვარული საშობლო საქმისადმი არ იწვევდეს მათ ჩვენსკენ ჩვენი მოღვაწეთა მკირე გუნდის გასაძლიერებლათ. ჩვენი მშვიდობიანი იუბილარიც ამავე გზაობას დაუძრავს თავის ადგილიდან. იგი აპირებს თავის საშობლოში დაბრუნებას. ახლა, ჩვენზედა დამოკიდებულთ, თუ როგორ გამოვიყენებთ მის ცოდნას და გამოცდილებას და რამდენათ დაეაფხვებთ ამ პატიოსან ადამიანს. სიდაც უნდა იყოს საყვარელი პროფესორი, ოდისის მომავალი სამეურნეო სასწავლებლის უფროსი იქნება, თუ იქვე ან სხვაგან გამართული ფერმაკოლის მმართველი, ან სხვა რომელსამე ასობარზე ამირჩევს მოღვაწეობას,—იგი ყველგან შეიტანს თავის ჭეშმარიტ ჭეშმარიტი აზრებას შუქს. უკანასკნელ დროს პატივცემული მეცნიერი თანამშრომლობს „მომამეში“ და „მეურნეში“. მისი თხზულების „ღვინის დაყენების“ ზადალი რუსულ სამეურნეო ლიტერატურაშიაც არ მოიძებნება.

ჩვენს პროფესორს სახელწოდებით აქვს მოხვეჭილი სახელი. მისი მეცნიერული გამოკვლევანი ისტამბულის, მაგალითათ, გერმანიის საუკეთესო სამეცნიერო სასპეციალო ჟურნალებში. მესამოცე წლების ბოლო ხანებში ბ. პეტრიაშვილი, „დროებაში“ სტამბულისა და ხანაღლი ცხოვრებდა თავის მოთხოვნებს. ასე და ამ გვართ არ დაუქარავს ჩვენს პროფესორს თავის სამშობლოსთან კავშირი. იგი საყვარელია და ძვირფასი ყოველი ქართველი სტუდენტისათვის. საქმარისა აღწინაა, რომ მის „ჩვენს ეასოს“ ეძახიან. ვისურვით, რომ მის აქ ჩამოსვლისათავე შესაფერის თანაგრძობა და გაუღენა მოგზაურს, როგორც ჰქონდა და აქვს ოღესაში.



ჩვენ საქართველოთ, მკითხველს ერთ გარემოებებზე მიუთითო. დიდი ხანია აღსარებულია ყველასაგან, რომ ჩვენ ვერ ვსარგებლობთ დროით და ვარემოებიდ, უამისით კი არაფერს ვაკეთებდა არ შეიძლება. აი, ახლაც! ეცადა რომელიმე ჩვენგანი, რომ როგორმე პეტერბურგში წავსულიყავი რომელსაზე ვაღელვნიან ვაზუთს დაბალივებიყავი... მოგვიწადინა ვაგვეცნო რუსეთის საზოგადოებისათვის ჩვენი ვინაობა, ჩვენი წარსული და აწმყო... ამ საკითხებზე, ცხადია, არაა მის მივიღებთ პასუხათ, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ეს ამ კამათ საქართველო და აუცილებელიც არ იყოს, თვითონ რუსები გვეხვეწებიან ვაგვეცნეთო თქვენი თავი. მკითხველი, უეჭველია, ამოიკითხავდა „რევირიაში“ ვისილ ველიჩკოს მიერ ვამართული საღამოებზე პრაფ. ლამანის და ვლადიმერ სოლოვიოვის წარმოთქმულ სიტყვებს, იქ დამაწრე ჩვენი სტუდენტებისადმი მიმართულს. პატრიცული მწერალი უჩაივლენ მათ ვსარგებლათ ახალი ვაზეთით, რომელიც იანერიდან დიწყებს ვამოსვლასა და ვაუცნოთ რუსეთის საზოგადოებისათვის ქართველების ცხოვრება. ასე ვაგვბატონებენ და ჩვენ კი ყურსაც არ ვიხრატით! მერტი დაუღვევრობა შეიძლება? დროა ვამოვიხილოთ თვალა! ნუ თუ აქამდინ ვერ შევიგებთ, რომ „ნამესტნიკობის“ დროს უშაღლეს მთავრობასაც საქართველოში ჰქონდა ბინა და ყველა კავკასიის შესახებ საქმებს აქვე სწევებდენ; ახლა კი, რაც მთავარ-მართებლობა დააჩსდა, უმთავრესი ჩვენი ყურადღება სატანტო ქალაქებს უნდა მივაქციოთ, იქითვე ვეგვიტროს თვალ-ყური. ნუ ვავიწყდება, რომ ბეჭდვით სიტყვასთან ბრძოლა ისევ ვაზუთსეე უნდა ვივანდოთ. Sapienti sat!..



ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ექიმთა საზოგადოებამ ვადაწყობა ბეჭდოს სამკურნალო ვაზეთი, რომელიც ვამოვც თვეში ორჯერ ქართულ, რუსულ

და სამხურ ენაზე, 1-2 თაბების სიერკით. წლიურ ვასათ ვაზეთისა დანიწნულია სამი მანათი, ვინ არ იცის, თუ რამდენათ საქართველო ხალხში ვაერცვლებს სხვა და სხვა ცოდნისა მკურნალობის, ვადავყოფის მოვლისა, ჰიგენის და ვეითალობის შესახებ?.. მამასადამე ყველა აქაური, ცოტათ თუ ვიერთ ვანათობული, მკვლერი დიდი სინაჟული უნდა მივებებოდა სამეცნიერო საზოგადოების სიმპატურ ვანზახვას, მაგრამ, როგორც ყოველთვის მოხდება ხალხმე, ამ შეწინერ წადილს მკურნალებისას წინააღუდენ ზოგერთნი, რომელნიც ხან ამტყებდენ, რომ საზოგადოება ვერ შეიგებებს ამ ვამოცემის მნიშვნელობას და ჩვენი შრომა ამათ ჩაივლისო, ხან საუბროთ ვიძახებდენ, რომ ქართველებს არც ერთი ქართულის მცოდნე მკურნალი არ მოეძებნებათა და სხე. მხოლოთ თამეჯდომარის, ბ. პავლოვის, ვამკურნაობას და რიხინაობას უნდა დაუბაროთ, რომ ეს ყოველად სასარგებლო და საიმედო საქმე არ ჩაუფრება. სხვათა შორის, „არა—მკითხე—მამამებო“ ვამოიჩინა ერთმა ექიმთაგანმა, სახელდობრ ექიმთაგანმა. ამავე მოახსენებას კრებას, რომ ქართველი ექიმები ვერ შესძლებენო ამგვარ სამეცნიერო სახალხო ვაზეთის ვამოცემას, რადგანაც ენა არ იცანო. ექიმი ივანე ვილაშვილი, რომელიც იმ დღეს, რაცა მამინავე ლაპარაკობდა, ვერ დასწრებშია კრებას, დავითმა მერვე კრებაში ბ. მამინავეს ქართული ვანყოფილების რედაქტორების ამარჩენის შემდეგ, თუ როგორ უნდა ვივულისხმოთ თქვენი სიტყვებით. ბ. მამინავემ უპასუხა, რომ მე, მხოლოთ, ვაქტივ აღინიშნე და მით არავის შეურაცხება ამ მინდოდა. ეს კამათი ვადიტანეს „ივერიის“ ფურცლებზედაც. ბ. მამინავე თავის დასტამბულ წერილში ვეარწმუნებს, რომ მე არაფერი შეურაცყოფელი ქართველ მკურნალოთ კორპორაციისათვის არა წარმომიტყუვას არა, და ცილოლობს ბ. ვილაშვილისაგან ვულ-წარველათ წარმოთქმული სიტყვები პირადობის ვერადილთ შევლებოს. ჩვენ არ ვიცით, მაღლობს ვადაუზნდინ ბ. მამინავეს ის ექიმები, რომელთ სახელებიც მას ქართულის უცოდინარ ექიმთა სიაში მოჰყავს, თუ საყვედურს შემოუთვლიან. ჩვენ კი ჩვენდა თავით ვფიქრობთ, რომ ცილის დაწამება—ამა და ამ კაცმა სამშობლო ენა არ იცისო—მგანი შეურაცხყოფელი უნდა იყოს ყველასათვის. მხოლოთ, ვადავარებულს, უთვისტომოს და უეგარტომოს შეუძლია ეს არ იწყინოს. ჩვენ არა ვაქვს საბუთ მამინავესაგან დასახელებული ექიმები ამ კათეგორიაში მოეჯციოთ მით უფრო, რომ ზოგი მათგანი

ქართულის კარგი მცოდნეა, როგორც, მაგალითთ, გრიგოლ მალაღაშვილი და ყარაიმან ჩიქოვანი. ჩვენ მხოლოდ ეს გვაკვირს, თუ ბ. შამინიავი ასე დაბე-ლოვნებულა ქართულში, რომ „იერონის“ უფურც-ლებზე წაეარდობს, რაღა დემარტობოდა ჩვენს საზო-გადოებას, რომ ერთი მანც ქართულის მცოდნე ექნის არ გამოეზარდა?!

ნუ ჰგონია ბ. შამინიავი რომ ცილის წამებით — ბ. ელიაშვილი თავის სიტყვების წარმოთქმით ამ-

ხანავთა შორის დამოკიდებულებას ამწვევებსო — ლელო გაიტანოს. ჩვენ არა გესურს ექიმ იგანე ელი-აშვილის გამოსარჩლება: ის ამას არცკი საჭიროებს, მით უფრო, რომ იმედია, თვითონ გასცემს ჯერო-ვან პასუხს, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო არა გვეთქვა-რა იმიტომ, რომ, დავით გურამიშვილისა არ იყოს, „ბაძვით მოარცხვილ გაურცხედების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ“.

ტრ. — ოლ — იქ.

ბიბლიოგრაფია.

ღვინის დაყენება, შედგენილი პროფ. ბუგრაიაშვი-ლის მიერ.



არსული წელი ჩვენს ცხოვრებაში ბევრ რი-თიმე იყო შესანიშნავი და გვი ქართველის სსოენაში ამოუშლელი იქნება. ერთი იმ გა-რემოებათაგანი, რომელიც წარსულ წელს განსაკუ-თრებულ მნიშვნელობას აძლევს, ისიც არის, რომ გამოვიდა სამეცნიერო წიგნი, რომლის სათაური ზე-ვით ამოწერეთ, მართლაც შესანიშნავი მოვლენაა ეს ჩვენს შწერლობაში. როგორც ვიცით, ქართულ ენაზე ბევრი სამეცნიერო ნათარგმნებია (განსაკუთრე-ბით წარსული საუკუნისა), ხოლო ორიგინალური სამეცნიერო თხზულება, ქართველის ჰკუთხა და გო-ნებით შედგენილი, ჯერ ჩვენ არა გქმონია. დღეს აქით, იმედია, აღარავის ექნება საბუთი თქვას, ქართულ ენის სამეცნიერო კვლევა არ ეხერხებოა. ეს თხზულება, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საუფძე-ლად და ნიმუშით დაედება მომავალ სამეცნიერო გამოკვლევათ.

პატრეცემულ ავტორს თვისი თხზულება შეტის

მეტი სისრულით აქვს შედგენილი, ენა ფრიად ადი-ლი და გასაგებია. ახალი, ჯერ არ ხმარებული ტერ-მინებიც, როგორც შეშენის დარბაისელ მეცნიერს, მეტათ მოხერხებულიც ქართულ ენას შეხამებულია. მიზანი თხზულებისა თვით ავტორს ასე აქვს გამო-თქმული: „შევისწავლათ ის საშუალებანი, რომელ-თა შემწვობითაც შეგვეძლოს წინ წაიყენათ ჩვენი მეურნეობა და ჩვენი მრეწველობა. აქ არის ჩვენი მალამო“. მრეწველობის ერთი უმთავრესი დარგი ჩვენში კი ხომ შევენახებოდა და ღვინის დამზადება. თვითონ თხზულება კი ავებულია იმ პრინციპზე, რომ გადასაკეთებელი მასალა კარგათ, სარგებლიანათ და ეკონომიურათ მოხმარებულ იქნას, ამ პრინციპზე დამყარებული პატრეცემული ავტორი არცკევს ყო-ველ ნაწილს უფრძნისას, მის სხვა-და-სხვა გვარათ მოხმარებას და ოჯახშიც გამოყენებას.

წიგნი საკმაოთ ვრცელია. შეიცავს 542 გვ. და ლირს 2 მ. 50 კ. არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ ეს ფასი ღიდი არ იყოს, თუ მხედველობაში მივი-ლებთ იმ გარამებებს, რომ ეს თხზულება წერილე-ბათ იმეჭლებოდა ყურხანლ „მოამბეში“ და რომ ავტორს არც ერთი კაპიკი არ მიუღია თავის წე-რილებში.

საქველ-მოქმედო საქმე



ნო რედაქტორო! მივიღეთ რა მხედველო-ბაში პატრეცემული გ. წერეთლის წერილი „კვალის“ № 41-ში დასტამბული მივეთ ირაკ-ლის თაენის შესახებ, მე თანამგრძობელი ამ სიმა-

ტური აზრისა გიგზავნით ჩემ მიერ შეგროვალ 34 მან. და 10 კაპ. და გთხოვთ დასტამბოთ თქვენს პატრეცემულ ვაზეთ „კვალში“ შემომწირველთა სია: რა მასქათა: იოსებ სოლომონის ძე სულთანშილი-მა, თათო მასქათა: ალექ. მიხ. სულთანშილიმა, მიხ. გიორ. იანვარაშილიმა, მიხ. პავ. ივანოვმა, ვას. დიმ.

მათიანელომა, გიგ. დიმიტრეელომა, დავ. ბერიე-
 მა, იას. ისაკ. სულთანელომა, სოსო კოლელი-
 შვილომა. იავ. ხუციშვილომა, გეო ყუშიტაშვილომა,
 იე. ნიკ. კვებერელომა, ად. ბერელაშვილომა, პავ. ბექ.
 ნიკოლომა, ზაქ. დავიდელომა, გიორ. ზუკაქიშვილო-
 მა, ათი შაურა: წყ. პეტ. არუთინომა, დარ. მანუ-
 ჩარომა, ილ. გველესიანმა, მიხ. აბსალომომა,
 დიმი. ზაქ. პაპალიშვილომა, გიგ. რამანომა, ისაკ. აბრ.
 ბიბილაურმა, ას. ასათომა, გრიქ. აკოფიანცმა,
 ალექ. პავლიემა, სოსიკო გოგინომა, პატე გიგიე-
 მა, გიგ. მიხ. მეტეელომა, იე. ანდ. გულიემა, მიხ.
 მურადიანცმა, თაზა გოგინომა, მეტერსკომ, ალექ.
 ზარნაძემ, გიორ. დარბელიძემ, სან. დიმი. ოსანიძემ,
 ნიკ. გიუნაშვილომა, იაკ. იტქაბაშომა, სან. ბურდუ-
 ლაშვილომა, არტ. დონიემა, სარქ. ლოგინომა, ალ.
 გოგაძემ, დიმი. დუჩიძემ, დარჩ. მუქლომა. რბი
 აბაზა: ზაქ. მალაღაძემ, გიორ. გუნდიემა, მიხ.
 ტრასომა, მიხ. მაკედონსკომ, ალექ. მაკედონსკომ,
 გიგ. პატომა. ექსა შაურა: იავ. დავლაშერომა
 ერთი აბაზა: წყალ. სულთანომა და იე. მურადო-
 მა, სულ 34 მან. 10 კაბ. ვთხოვთ ვახუთ ,,ივრასა",
 ვადაბეჭდოს ეს საა.

იოსებ სოლომონის ძე სუღთანელომა.

ოლთისიდან მვიდეთ ,,ირაკლის“ ფონდის შე-
 სამატებლათ შემოწირულობა დიმიტრი ხოშტარია-
 საგან (დღუტუ-მეგრელი) 5 მან. აღრინდელ შემოწი-
 რულებით სულ შედგება 99 მან. და 30 კაბ.

აკვალის: რედაქციამ მიიღო ზეპირ-სიტყვა-
 ბის ფონდის მისამატებლათ ელადიმერ ყიფიანისაგან
 სში მანეთი და დიმიტრი ხოშტარიასაგან (დღუტუ
 მეგრელი) 10 მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

განცხადებანი

ქართული თეატრი

კერას, 21 იანვარს 1896 წ.

ქართული დრამატული სოციალურის დასახეან წარმო-
 დგანილი იქნება
 ქნ ჯულიშვილის, და პან აბაშიძის, გ. მუსხის და გლ.
 ალექსეევ-მუსხისშვილის მოხმადეობით

I

პარკიზის ღარიბ-ლათაკანი

ღრამა 5 მოქმედ. თარგმ. ვალ. გუნას—მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქაბანი ჯავაოვის,
 ჩუქუხაშვილის, მელიქიშვილის, ჩხიძის, და სხვ.
 პანი აბაშიძე, ალექსი-მუსხიევი, გ. მუსხი, გუნა, სვიძო-
 ნიძე, გუგუნიანი, კანდელი, შთიბიშვილი, აბაშიძე,
 მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებისათვის ადგილები ღოჯებს ჯგან 65 კაბა
 დასაწმინს სწორათ 8 საათოზ

ოთხშაბათს 24 იანვარს დანიშნულია ბენეფისი
 გ. გედევანოვის.
 რეჟისორი ვლ. ალექსეევ-მუსხიშვილი

ქალაქის საბჭოს ექიმების ადგილ-სადგომი თუთილი-
 სის სხვა-და-სხვა ნაწილში.

- I და II ნაწ. გ. მ. ანჭრუნი, გოლოვ. პროსპ., ადა-
 მიანციის ნა. № 28.
- III, IV და V ნაწ. გ. ა. გონიევი, ბაღის ქუჩა, საკო.
 სახლი № 19.
- VI ნაწილ. გ. ბ. ტერ-სასტურფოვი, ვორანციოვის ქუჩ.,
 ელიგაროვის სახ. № 55, სამკურნა-
 ლოს სადგომი.
- VII ნაწილ. გ. გ. გუგულიანი, კახეთის ქუჩა, ტერ-
 ტეროვის სახ. № 26, სამკურნალოს
 სადგომი.
- VIII და IX ნაწ. გ. ა. თანხმელოვი, ელისაბედის ქუჩ.,
 სახლი № 70.
- X ნაწილ. გ. ა. გუგულიანი, მიხილის და კონტების
 ქუჩის კუთხე, ულანციევის სახ., № 2.
- ექიმი დეზინფექტორი ი. ა. რაზმატი, სოლოლოკის ქუ-
 ჩა, სუმბათაშვილის სახლი, № 1.

საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო განკარგულება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, აღნიშნულ რიცხვებში ბანკის გამგეობის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო ფაქტორებით კასეიდულ ექსპედიციას სსენებულს ბანკში დატრიალებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა ჰიროთა, შესახვედრ გადასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასეიდა მოიხსობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მენატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეაყენენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებთა წარუყენს.

ვაჭრობა დაწესება ქვემო მოუყვანილის თაფნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუყვებელის კარდასახადისა, მამულის კასეიდლად დანიშნაზე სარუებისა და, სასოფლო-სამეურნეო, ეგვლა ამ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოგაღის საპატეიროდ დაუსარუავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თაფნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის კირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებთ სახელდობრის ფასისაშებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ შეიდეგულზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნადათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებასურთ, მათ შეუძლიათ კასეიდელთ მამულთა დაწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 20 მარტს 1896 წელს.

ვაჭრობა 28 თებერვალს 1896 წელს.

18⁷/₁₂ და 19¹¹/₁₂ წლიან 6660 სსენი.

ქ ქუთაისს.

დაწესებულების მიხილ ერატის ძის: ოპირის ქუჩაზე ორი ქეთიკრის სახლები; ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საფ. თაფნი ვალი 482 მ. 59 კ. შეს. ვად. 291 მ. 54 კ. სულ 774 მ. 13 კ.

დასამიქთა: ნეტორ და სამსონ მიხილის ძეთა; სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკრის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საფ. თაფნი ვალი 22 მ. 12 კ. შეს. ვად. 291 მ. 54 კ., სულ 313 მ. 66 კ.

აღსაკეთა: იოსებ ალექსანდრე და ივანე ხეთი-სოკარის ძეთა; ლევანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საფ. თაფნი ვალი 111 მ. 60 კ. შეს. ვად. 129 მ. 82 კ., სულ 241 მ. 42 კ.

კოპახიძის ალექსი სიმონის ძის: ბაღთავანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 455 კვადრ. საფ. თაფნი ვალი 46 მ. 66 კ. შეს. ვად. 42 მ. 62 კ., სულ 89 მ. 28 კ.

მოკოვაძის ვასილ ოქრობირის ძის: ოპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საფ. თაფნი ვალი 55 მ. 55 კ. შეს. ვად. 38 მ. 40 კ., სულ 915 მ. 55 კ.